ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

16994-01-2-201904301424

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/16994
30/04/2019

საქართველოს პარლამენტის
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს
ქალბატონ თამარ ხულორდავას

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო ჯავახაძეს

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილეს
ბატონ გოჩა ლორთქიფანიძეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ თამილა ბარკალაიას

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის
ადმინისტრაციის უფროსს
ქალბატონ ნინო გიორგობიანს

პატივცემულო კოლეგებო,

გაცნობებთ, რომ ევროკომისიის მიგრაციისა და საშინაო საქმეთა გენერალურმა დირექტორატმა (DG HOME) გაგვიზიარა **„არალეგალური მიგრაციისა და საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირში მოგზაურობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების გამოწვევების შემცირების სამოქმედო გეგმის“** *(Action Plan to decrease the irregular migration and security challenges linked to the travel of Georgian citizens to the EU)* პროექტი, შემდგომი შენიშვნებისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით.

ევროკომისიის მიგრაციისა და საშინაო საქმეთა გენერალური დირექტორატის რეკომენდაციაა, სამოქმედო გეგმა საბოლოო სახით დამტკიცდეს 22 მაისს, თბილისში დაგეგმილ მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ქვეკომიტეტის სხდომაზე (JLS).

გთხოვთ, ევროკავშირის მხარის დროული ინფორმირების მიზნით, 1 მაისამდე, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში გაგვიზიაროთ შენიშვნები დოკუმენტში გაწერილ ღონისძიებებთან

დაკავშირებით, ასევე გვაცნობოთ შესაძლო დამატებითი წინადადებები, რომელთა ასახვაც მიზანშეწონილად მიგაჩნიათ სამოქმედო გეგმაში.

დანართი: 8 გვერდი

პატივისცემით,
ვახტანგ მახარობლიშვილი

მინისტრის მოადგილე